სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/154

ქ. თბილისი 24 ნოემბერი 2022 წ.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2022 წლის 22 ნოემბრის საბჭოს სხდომის №9 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 24 ნოემბრის № 01-05-02/35 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საგზაო ინჟინერია“.
2. სტრუქტურული ცვლილებები სასწავლო კურსებთან მიმართებაში ამოქმედდეს 2023-2024 სასწავლო წლიდან. ხოლო ყველა სხვა ცვლილება, მათ შორის კვალიფიკაცია, ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**